ელექტროენერგიის ტარიფები საქართველოში

ეკატერინე უკლება
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სწორი სატარიფო პოლიტიკის გატარება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არა მარტო ენერგეტიკული სექტორისათვის, არამედ მთლიანად საქართველოს ეკონომიკისათვის და, მათ შორის, ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის ტარიფების დადგენასა და რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) 1997 წლიდან. იგი ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირების პირველი ორგანოა სახელმწიფოში. მარეგულირებელი ორგანოს შექმნა საქართველოს ენერგეტიკაში ეკონომიკურ გარდაქმნათა დიდი და რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა.

ტარიფების დადგენის ამოსავალი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ". მისი მიზანია ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილებისა და მოხმარების ეფექტიანობის ამაღლება, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ელექტროენერგეტიკული დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით, ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენციის უზრუნველყოფა.

ელექტროენერგეტიკის სექტორში მიმდინარე ეკონომიკურმა და ორგანიზაციულ-სტრუქტურულმა რეფორმებმა უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაცია და მისი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე ორიენტირებულ ეფექტურ დარგად გადაქცევა.

ამ პროცესში ერთ-ერთი უმთავრესია ელექტროენერგიის ყველა საფეხურის (წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, განაწილება და მოხმარება) ტარიფების დადგენა და რეგულირება, რომელიც ეფუძნება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონს და საერთაშრისო პრაქტიკაში მიღებულ ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ელექტროენერგიის ტარიფი სრულად უნდა ასახავდეს, ერთი მხრივ, მის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციასა და განაწილებაზე გაწეულ დანახარჯებს, უზრუნველყოფდეს გაწეული კაპიტალური დაბანდებების ამოგების სამართლიან დონეს, ენერგეტიკული საწარმოების ფინანსურ და ტექნიკურ სტაბილურობას და, მეორე მხრივ, იცავდეს მომხმარებლებს ელექტროენერგიაზე მონოპოლიური ფასებისაგან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ელექტროენერგიის ტარიფი უნდა დადგინდეს მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომერციულ და კონკურენტულ ურთიერთობათა საფუძველზე. გარდა ამისა, საჭიროა ტარიფი დარეგულირდეს ენერგიის სხვა წყაროებთან მიმართებით.

სემეკის დადგენილებით, ელექტროენერგიის ტარიფის რეალურ ღირებულებაზე გადასვლა ეტაპობრივად ხორციელდება. აქ გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული დარგის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა და მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დონე.

გასულ პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი საკმაოდ დიდ ფარგლებში იცვლებოდა. კერძოდ, 1997 წლის 1 აგვისტომდე ქვეყანაში ელექტროენერგიის ყველა კატეგორიის მომხმარებლებისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისაგან შესასყიდი ტარიფი დაწესდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით 4,5 თეთრი ერთი კილოვატსაათისათვის.

შემდგომში, კერძოდ, 1998 წლიდან მოსახლეობისათვის საცალო ტარიფს ყოველი კილოვატსაათისათვის ადგენს სემეკი და პირველად მან შეადგინა 6 თეთრი, რომელიც თბილისში თანდათან გაიზარდა: 1999 წელს - 9 თეთრამდე, 2000 წელს - 9,8 თეთრამდე, 2001 წელს 12,4 თეთრამდე და 2002 წელს - 13,7 თეთრამდე. დანარჩენ რეგიონებში ტარიფის მატებამ შესაბამისად შეადგინა: 1999 წელს - 8,3 თერამდე, 2000 წელს - 8,5 თეთრამდე, 2001 წელს იგი შემცირდა 0,4 თეთრით, ხოლო 2002 წელს ტარიფმა შეადგინა 8,5 თეთრი. 2003 წლის 1 მარტიდან ტარიფი შემცირდა თბილისში 10,2 თეთრამდე, რეგიონებში - 6,35 თეთრამდე.

ელექტროენერგიის საშუალო ტარიფი თუ 2000 წელს 9,8 თეთრს შეადგენდა, 2005 წელს ამ მაჩვენებელმა 12,7 თეთრს მიაღწია.

დღესდღეობით ელექტროენერგიის ტარიფი საქართველოში საფეხურებად არის დაყოფილი.

იმ აბონენტს, რომელიც თვეში 100 კილოვატამდე ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთ კილოვატში 13,5 თეთრის გადახდა უწევს, თუ თვეში 101-დან 300 კვტ_სთ-მდ ელექტროენერგიას ხარჯავს, მაშინ 16 თეთრის გადება უწევს, ხოლო მესამე კატეგორიის აბონენტს, რომელიც 301 კილოვატ საათზე მეტს მოიხმარს, ერთი კილოვატი ელექტროენერგია 17,7 თეთრი უჯდება.

ბოლო 15 წლის მანძილზე საქართველოში ელექტროენერგიის საფასური 300%-ით გაიზარდა.

ამ დროისთვის საქართველო მთლიანად საკუთარ ენერგიას მოიხმარს. ქვეყანაში ყველაზე დიდი ელექტროსადგურის „ენგურჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, დაახლოებით, 2 თეთრია. საქართველოს მოსახლეობა კი ამ ელექტროენერგიას 16 თეთრად ყიდულობს მაშინ, როდესაც ჩვენს ექსპორტიორ ქვეყნებში - სომხეთში 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 5 თეთრი (3 ცენტი) ღირს, აზერბაიჯანში - 9 თეთრი (5 ცენტი), რუსეთში - 11 თეთრი (7 ცენტი). გარდა ამისა, ესტონეთში ელექტროენერგია 16 თეთრი ღირს, თურქეთში კი, რომელიც ცხოვრების დონით მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა - 22 თეთრი.

შევადაროთ ელექტროენერგიის ღირებულება საცალო ქსელში საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში. ევროპაში, საშუალოდ, 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 17,1 ცენტი ღირს, საქართველოში კი, საშუალოდ, 16 თეთრი.

ტარიფის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია წარმოების ტარიფი. მაგ., ენგურჰესის მიერ გამო-მუშავებული ელექტროენერგიის საფასური 2.17 თეთრია. ვარდნილჰესების კასკადს" - 1,17 თეთრი უჯდება, ვარციხჰესს" - 1,25, ხრამჰესს" - 1,76. ამ სიაში შედარებით მაღალი ტარიფები დაფიქსირებული აქვთ ენერგოპრო-ჯორჯიას" ობიექტებს: გუმათჰესების კასკადს", ძევრულჰესს", რიონჰესსა" და შაორჰესს". აქვე მითითებულია თბოელექტროსადგურების გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულებაც, რომელიც 6-დან 8 თეთრამდე მერყეობს. ამ მონაცემებით შეწონილი (საშუალო) ტარიფის ღირებულება, 4,45 თეთრს არ აღემატება.

ცნობილია, რომ ელექტროენერგიის ტარიფი წარმოების, დისპეტჩერიზაციის, დანაკარგების, განაწილების საფასურისგან შედგება. თვით წარმოების ტარიფი კი არის შეწონილი ტარიფი, რომელიც ჰიდრო და თბოელექტროსადგურებისა და იმპორტის წილს მოიცავს. დღეს იმპორტის წილი ჩვენთან მცირეა, პირიქით, საქართველო ელექტროენერგიას ყიდის. თბოელექტროსადგურების წილი ქართულ ენერგოსექტორში 20%-ს არ აღემატება.

ამჟამად საქართველოში ელექტროენერგიის ფასწარმოქმნაში დარღვეულია საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. ამ პრინციპის მიხედვით, რაც უფრო მეტ პროდუქტს ყიდულობ, უფრო ნაკლებს იხდი, საქართველოში კი პირიქითაა, რაც უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარ, უფრო მეტს იხდი.

დღეს იმის თქმა, თუ რამდენად სწორადაა ფორმირებული საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი, რთულია. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო რეგულირების გარეშე ტარიფის სიდიდე კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში არარეგულირებად პროდუქციაზე ფასები გაცილებით მეტად გაიზარდა, ვიდრე რეგულირებად პროდუქციაზე, ჩვენ შემთხვევაში, ელექტროენერგიაზე. მაგ., „საქსტატის" მონაცემებით, 2000-2005 წლებში ელექტროენერგიის ტარიფი კვტსთ-ზე 23,2%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა ფასები გაიზარდა: პურზე 35,7%-ით, ღორის ხორცზე - 77,4%-ით, ძროხის ხორცზე - 58%-ით, კვერცხზე 46,4%-ით, ნავთზე - 54,9%-ით, თხევად გაზზე - 35,7%-ით და ა.შ.

ჩვენ უნდა წავიდეთ რეალური ფასების დადგენის გზით. ფასწარმოქმნა სისტემურ მიდგომას საჭიროებს. თუ ელექტროენერგიას მუდმივათ ვიყიდით იმაზე იაფად, ვიდრე ის ფასობს, მაშინ ელექტროენერგიის მწარმოებელი და მიმწოდებელი ვერასოდეს მიიღებს კუთვნილ ანაზღაურებას, დაიკარგება შრომისადმი ინტერესი და შესაძლებელია დარგი საერთოდ გაჩერდეს. ეს განსაკუთრებით ხდება ენერგიის დეფიციტის პირობებში. სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენს ქვეყანაში იმ პერიოდში, როცა ტარიფები იზრდებოდა. საქართველოს ელექტრობალანსი უდეფიციტოა 2007 წლიდან, მას შემდეგ კი ჩვენთან ტარიფები არ გაზრდილა.

ბოლო წლებში ენერგეტიკის სფეროში ყველაზე მეტი წარმატება იქნა მიღწეული. _ მოსახლეობა იმდენ ელექტროენერგიას იღებს, რამდენის გადახდასაც შეძლებს. ეს კარგი მაჩვენებელია, მაგრამ არსებობს მეორე მხარე - ტარიფები. ტარიფები აუცილებლად უნდა ასახავდეს იმ დანახარჯებს, რაც ჩადებულია ელექტროენერგიის წარმოებაში.

სახელმწიფოს ჰქონდა მცდელობა, რომ გარდამავალ პერიოდში სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ეზრუნა და იმოქმედა შემდეგი პრინციპით, რომ თუ ოჯახი მოიხმარს 100 კილოვატზე ნაკლებ ელექტროენერგიას, ე.ი. ეს ოჯახი, უხეშად რომ ვთქვათ, ღარიბია და არ აქვს მეტის

გადახდის საშუალება, ამიტომ მათთვის დააწესა ტარიფი 13 თეთრის ოდენობით. ოჯახი, რომელიც 100 კილოვატზე მეტს მოიხმარს, მდიდარია და ის ერთ კილოვატში 16 თეთრს გადაიხდის. 300 კილოვატზე მეტის მომხმარებლები 17 თეთრს გადაიხდიან და ა.შ. ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, არასამართლიანია და ამავე დროს არასწორიც, რადგან ყველაფერი პირიქით ხდება. ანუ, ოჯახებში, რომელთაც მაღალი შემოსავალი აქვთ, რა თქმა უნდა, არ ცხოვრობს ერთად ბევრი ადამიანი, გარდა ამისა, აქვთ თანამედროვე და ხარისხიანი ტექნიკა, რომელიც არ ხარჯავს ბევრ დენს და აქედან გამომდინარე, არც ბევრის დახარჯვა და გადახდა არ უწევთ. ღარიბი ოჯახები კი უფრო კომპაქტურად დასახლებულნი არიან, ასეთ ოჯახებში რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს, არც ტექნიკა აქვთ თანამედროვე და ელექტროენერგიასაც მეტს მოიხმარენ. ასე რომ, ტარიფის დადგენის ასეთ მეთოდს ხალხის სოციალურ დაცვასთან არანაირი კავშირი არ აქვს და, ჩვენი აზრით, იგი უნდა შეიცვალოს..

საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად საქართველოში ტარიფის განსაზღვრის ამოსავალი პრინციპია ელექტროენერგიის მომწოდებელის მიერ გაწეული მომსახურების სრული ღრებულება, აგრეთვე გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები:

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ქვეყნის ფაქტიური და პროგნოზულ ელექტრობალანსი;
- ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი;
- ელექტროსადგურების ტიპი, სიმძლავრე, გამომუშავება და ა.შ.;
- ელექტროენერგტიკულ საწარმოთა ძირითადი საწარმოო ფონდების ნარჩენი (რეალური) ღირებულება;
- ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ტარიფების განხილვისა და გადასინჯვის პროცედურების დანერგვა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტარიფების დადგენის დროს. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა (ცაე) და ახალ დამოუკიდებელი სახელმწიფოების (ადს) ქვეყანაში (საქართველოში, ლიტვაში, სომხეთში და სხვ.) სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იმისაკენ, რომ ელექტროენერგეტიკული საწარმოების მიერ დადგენილი ტარიფები შეესაბამებოდეს გაწეულ ხარჯებს.

ტარიფებთან მიმართებით არსებობს მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, ეს შეეხება მათ განხილვასა და გადასინჯვას. აქ მიზანშეწონილია განვასხვაოთ ცნებები: ტარიფების „განხილვა" და „გადასინჯვა". პირველი ცნება ნიშნავს მოქმედი ტარიფების შემოწმებას იმისათვის, რომ განისაზღვროს, შეესაბამება თუ არა ისინი თანამედროვეობას, ანუ კანონმდებლობის მიზნებსა და სხვა ამოცანებს რეფორმის პროცესში. მეორე ცნება კი გულისხმობს ცვლილებების შეტანას ტარიფებში, რაც შეიძლება ტარიფების განხილვის შედეგი იყოს.

საკითხს იმის შესახებ, ვის შეუძლია მოამზადოს ტარიფების განხილვისა და გადასინჯვის პროცედურები, დიდი მნიშვნელობა აქვს მხარეებს შორის ურთიერთობათა გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, თუ დაუშვებთ, რომ რეგულირებადი საწარმო არის ერთადერთი მხარე, რომელსაც შეუძლია შესთავაზოს ტარიფების გადასინჯვა. ამ შემთხვევაში მარეგულირებელ ორგანოს არ გააჩნია მოქმედების საკმარისი თავისუფლება არსებული ტარიფების გადასასინჯად, ეს კი შეიძლება შედიოდეს რეგულირებად საწარმოს, მაგრამ არა მოსახლეოის ინტერესებში.

თუ ჯგუფები, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული ინტერესები და არ არიან ელექტროენერგეტიკლი საწარმოები, უფლება არა აქვთ გამოვიდნენ წინადადებებით ტარიფების განხილვის ან გადასინჯვის შესახებ; მოსახლეობას ექმნება წარმოდგენა, რომ მარეგულირებელი ორგანო არ არის საკმაოდ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

მარეგულირებელ ორგანოებს, ცხადია, არ შეუძლია ტარიფების გადასინჯვა ცალკეული ინვესტორისა და მომხმარებლის საზიანოდ. მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია ტარიფის დადგენისათვის განსაზღვროს აუცილებელ მონაცემთა ჩამონათვალი. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, დასადგენია წარმოების მოცულობის პროგნოზი. ამისათვის საჭიროა განისაზღვროს ელექტროენერგიაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილება, სადგურის ძირითადი ფონდების, მათ შორის მანქანა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა, წარმოების სიმძლავრე, თბოსადგურებში საწვავის. მისი ცალკეული სახეების (მაზუთი, აირი) შეძენის შესაძლებლობა.

ტარიფის დადგენისათვის საჭირო ინფორმაცია მარეგულირებელ ორგანო იღებს ენერგეტიკული სექტორის საწარმოებიდან. ცხადია, წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელია მისი წარმომდგენი.

ამგვარად, ფასების რეგულირების სწორად წარმართვისათვის მარეგულირებელმა ორგა-

ნოებმა უნდა შეაგროვონ სხვადასხვა მონაცემები, რომლებიც აუცილებელია ტარიფების დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. გარდამავალ პერიოდში ახალ დამოუკიდებელ ქვეყანებში ამგვარი საქმიანობა მნიშვნელოვნად რთულდება დანახარჯებზე მონაცემების, საფინანსო და ტექნიკური რეალური ინფორმაციის უქონლობის გამო ელექტრო და გაზმომარაგების დარგებში. აქედან გამომდინარე, უახლოეს მომავალში უნდა შემოწმდეს და დამკვიდრდეს რეგულირების მიზნებისათვის ანგარიშსწორების ჩატარების პროცედურები. ამ საკითხის მოგვარება განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2006.
2. დ. ჩომახიძე, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბილისი, 2003.
3. http://www.gnerc.org/
4. http://www.gnerc.org/uploads/el%20tarifebis% 20shesaxeb.pdf

ELECTRICITY RATES IN GEORGIA

EKATERINE UKLEBA
Doctorant of Akaki Tsereteli State University

The electricity tariffs are established and regulated by the National Energy Regulatory Commission of Georgia since 1997. In the state of the market economy the electricity rates should be determined on the bases of commercial and competitive relations between producers and consumers. Besides, it is necessary to regulate the tariffs of other energy sources.

Nowadays, in Georgia electricity pricing procedures are violated in terms of the principles of market economy. According to these principles, the more products are bought, the less price is paid. But in Georgia it is quite on the contrary. The more electricity you consume the more you pay. The regulatory authorities receive information necessary to determine the rates from the power plants of energetic sector.

The provider of the information is responsible for the accuracy and completeness of the data within the framework of Georgian legislation.

Thus, for regulating the process of pricing regulatory bodies should gather various data according to the guidelines used to establish tariffs.